# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 07

2018 წ. "20" 03

ქ.თბილისი

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და $30^1$-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1438-ით:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამთო ტექნიკოსი | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში 041467 | 60 | 75 | ქართული ენა | 40 | ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4 თაბუკაშვილის ქ. №13 |
| 2 | სამთო ელექტრომექანიკოსი | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში 041467 | 60 | 75 | ქართული ენა | 40 | ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4 თაბუკაშვილის ქ. №13 |
| 3 | მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი | მესამე | 041467 მესამე საფეხურის პროფესიული პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში 041467 | 60 | 75 | ქართული ენა | 20 | ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4 ზარათაშვილის ქ. №1 |

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №03 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი
მაკა გველესიანი